# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 17 კვირა, 2 დეკემბერი 1901 წ. გაზეთის № 1658

## ცხოვრების გულიდან

### თავისიანები

„— სწორედ ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც მე და ჩემი ძველი მეგობარი ონოფრე სტოლიდან ავდექით და გარეთ გამოვედით. მუდამ მღელვარე და შფოთიანი გოლოვინის პროსპექტი ახლა მიჩუმებულიყო და დასაძინებლად ემზადებოდა, აქა იქ თუ დაინახავდით გამვლელებს, რომლებიც მხოლოდ თავ-თავიანთ ბინებზე მიეშურებოდნენ. გადაწმენდილი, ხშირი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ხალისიანად გადმოგვცქეროდა თავზე და რაღაც ერთნაირ გრძნობას გვიღვიძებდა გულში—გამოურკვეველ გრძნობას ბედის კმაყოფილებისას თუ რაღაც ამ გვარს. მე, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მშვენიერო მანდილოსანნო და აგრეთვე თქვენც პატივცემულო საზოგადოებავ, მაინცა-და-მაინც დიდი გრძნობიერებით არ დაუსაჩუქრებივარ მაღლიდან ღმერთს, ასე რომ მოძმეთა ჩემთა ტირილი ძვირად თუ მოაღწევს ჩემს ყურებამდე და თუ მოაღწია, დიდ ხანს არ გავაჩერებ, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მშვენიერი ბუნება ჩემში უფრო ბედის კმაყოფილების გრძნობას გამოიწვევდა, ვიდრე წინაამდეგს, თუ ამასთანავე სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კახური ღვინის წვენი ზედი-ზედ გადავკარით მე და ონოფრემ ჩვენი ძვირფასი საქართველოს სადღეგრძელო, ისე რაღა, პატრიოტულ გრძნობებს თავისი გადავუხადეთ, ესე იგი მივეცით ღვთის ღმერთსა და კეისრისა კეისარსა, სახარების სიტყვებით რომ ვთქვათ. ჰო და, ყველა ამას შემდეგ აბა როგორ შეიძლება, რომ გამაძღარმა ქართველმა ბედის უკმაყოფილება იგრძნოს, - ის არც იმდენი უმადური და უჯიშოა...

, — ალფონს დოდე,—ხომ იცით ვინ არის ალფონს დოდე?—ამბობს, რომ თვითეული ფრანგი რამდენიმედ მაინც ტარტარენ ტარასკონელია. ქართველების დოდემ კი ასე უნდა სთქვას: ყველა ქართველი რამდენიმედ მაინც ლუარსაბ თათქარიძეა, ვინაიდან, ბატონებო, თუ მისი მკვიდრი შვილი არა, მისი შტოიდან მაინც წარმომდინარებენ ქართლოსის კურთხეული შვილები. ჩვენც ვახშამზე ვიდავეთ რა იმაზე, თუ რომელი სჯობია: ჩიხირთმა თუ ბოზბაში, ვახსენეთ რა დიდებული მეფე ირაკლი—იმაზე სულ ცხონებულ ლუარსაბ თათქარიძეს უყვარდა ლაპარაკი—და გიორგი სააკაძე, ამასთანავე ვუსურვეთ რა საქართველოს ნაფიც მსაჯულთა სამართალი და ერობა, დავლიეთ რა რამდენიმე პატრიოტული სადღეგრძელო — ქართული პატრიოტიზმი ხომ ღვინიან ჭიქაშია,—ცოტა არ იყოს დავიღალენით ამდენი ტვინის მუშაობით და ჭამით და ამიტომ თითქმის ისე გავიარეთ გოლოვინის პროსპექტი, რომ კრინტიც არ დაგვიძრავს. ამასობაში შევუდექით მამა დავითის აღმართს. აქ კი გაგვიჭირდა სიარული და შევჩერდით.



ნიკოლოზ დობროლიუბოვი

„— მშვენიერი ღამეა სწორედ!—დაილაპარაკა ონოფრემ. და სწორედ რომ მშვენიერი ღამე იყო, აი ისეთი ძარღვების დამამშვიდებელი, რომელიც ტფილისის პაპანაქება სიცხეს მოჰყვება ხოლმე და რომელიც თავის უმაღლეს სიმშვენიერეს მაისში აღწევს. ბაგე გაშლილი ბადრი მთვარე ძლევა-მოსილ სიდინჯით მოცურავდა ცაზედ—ასე გაივლის ხოლმე ოცდა ხუთი წლის ლამაზი, რომელსაც უკვე შეგნებული აქვს თავისი სილამაზე. მე, როგორც ვთქვი, მაინცა და მაინც დიდი გრძნობების პატრონი არა ვარ, ქალბატონებო, მაგრამ ბუმბერაზი, სწორედ ბუმბერაზი რამეა საქართველოს ბუნება და მოდი და ამას შემდეგ ნუ აგიტოკდება გული, ნუ შეგიყვარდება შენი სამშობლო... მეც შეყვარებულივით გადავაცქერდი ტფილისს! ზევით მთვარე, გაღმა ამაყ და საიმედო კედლებად წამოჭიმული არსენალის მთა, ქვევით ათასნაირად მოციმციმე ტფილისი და ამასთანავე ჩვენი სამშობლოს გული... როგორც გენებოთ და—მეც ვინატრე პოეტობა. ჰა, ჰა, ჰა!... ა, ქალებო, მეც დამებადა სურვილი ლექსის დაწერისა, ესე იგი გატყდა რაღა გული!...

„— და მოდი და ნუ გიყვარს ეს ჩვენი ქვეყანა, მოდი და ნუ იამაყებ, რომ ამ ქვეყნის შვილი ხარ!—დაიწყო ხმამაღლა ოცნებობა ონოფრემ:—არა, ძმაო, მე მიყვარს და მიყვარს და მიყვარს ეს ჩემი სამშობლო!

მე კი ნელის ხმით დავიწყე ღიღინი.

**„სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა!»**

სწორედ ამ დროს ონოფრეს წყრომის ხმა მომესმა:

„— წადი"შე უსირცხვილო!... როგორ არ გრცხვენია ან ღმერთის ან კაცის!

მე მივხედე და დავინახე, რომ ონოფრეს გვერდში ვიღაც შალში გამოხვეული არსება იდგა, ესე იგი მანდილოსანი, ან მდაბიურად რომ ვთქვათ „მეღამურა ადამიანი“, დიაღ, ნამდვილი ევას ჩამომავლობა. ჩვენი გვერდის ნამტვრევ... თქვენ თავს ვფიცავარ.

— წადი, წადი დაიკარგე, შე ღვთის პირიდან გადავარდნილო!—დაუყვირა ონოფრემ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ის ცოდვილი არსება არა თუ არ წავიდა, პირსახურიც მოიხადა, წელში გასწორდა და ისე დაგვიწყო ცქერა, მე შემეშინდა; ჩამოვარდა ერთი წამის სიჩუმე; ჩვენ წინაშე—არ ვიცი რად და—მეგონა კი რომ ჩვენი მოსისხლე მტერი იდგა, მტერი, რომელიც მზად იყო ჩვენი სისხლი დაელია, ან ერთი ჯურის ადამიანის ენით რომ ვთქვათ, ჩვენ წინ იდგა ქუჩა მთელი თავისი ძალით და სიძულვილით...

— რა გინდა ჩემგან, ჩემო დაო!—დაარღვია სიჩუმე ონოფრემ.

„— რა მინდა? რა არ მინდა? ღმერთი მინდა, ღმერთი!— დაიძახა ქალმა:—დიაღ, ღმერთი მინდა!.. შენ მე უღმერთო



ბერტელო.

დამიძახე და აი მე შენ გკითხავ—არის კი ჩემთვის ღმერთი?.. ან თუ გამაჩინა, რად მიმატოვა?... შენ მეუბნები.

— რად არ გრცხვენია ან ღმერთის ან კაცის... მე კი მგონია, რომ ყველას ჩემი რცხვენია და კიდეც იმიტომ ვერ მივაგენი—მემალებიან! გინახავს განა შენ ის ძვალ-ტყავა ადამიანი, სიმშილს რომ ეძახიან? გაგიგონია რა ენაზედ ლაპარაკობს ის? მე დედა ვარ, ლოთი ქმარისაგან მიტოვებული!... შენ, პატიოსანო ბატონო, როდის იყო, რომ შვილების საზრდო გამომიგზავნე, როდის იყო, რომ ზომები მიიღე—არ გავრყვნილიყავი!... და შენ მეუბნები... „ღმერთი, ღმერთიო!“ შენ, შენ უნდა გრცხვენოდეს ღმერთის და არა მე... მე შვილებს ვარჩენ!

სწორედ ანგელოზი იყო, ქალბატონებო, იმ დროს ის დედაკაცი. ჩემი შიშიც უცბად გაჰქრა და—ცოდვა გამოტეხილი სჯობია—თქვენი მონა წაეპარა მას და ერთი პატარა, მაგრამ მხურვალე კოცნა მოჰპარა ღმერთის მაძებარ ადამიანს“.

— უიმე!—ერთ ხმად წამოიძახეს ქალებმა და გაწითლებულებმა ერთმანერთს შეხედეს.

მოსაუბრე ივანე გულგრილაძე კი ზარმაცად მიწოლილიყო სავარძელზე და დაბალის ხმით იცინოდა.

— მერმე, ივანე, კოცნის შემდეგ რა ქნა იმ ქალმა?—დაეკითხა ივანეს ერთი იქ მყოფი ახალგაზდა.

— ეჰ, ძმავ, ბავშვი ყოფილხარ თუ ამას ვეღარ მიხვდი! ქალი იყო იგი, ძმავ, ქალი! განა არ იცი, რომ ქალისთვის ყველაფერი იარაღია? ერთი კიდევ ვაკოცე, გამოვემშვიდობე ონოფრეს, გავუყარე ქალს მკლავში ხელი და გავწიეთ... ხე, ხე, ხე!...

— უი, შენ კი დაგწყევლოს ღმერთმა! — წამოიძახეს ქალებმა და უფრო გაწითლდნენ.

ხოლო რა იყო ეს სიწითლე, გაწითლდნენ ისინი ივანეს მაგიერ, თუ... სხვა იყო მიზეზი, ამის თქმა ავტორს არ შეუძლია—არც იმდენი გაბედულია იგი.

სწორედ ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ივანე გულგრილაძე გამოვიდა ქუჩაზე და ბინისაკენ გასწია.

სპირიდონ მცარიშვილი

## ნ. ა. დობროლიუბოვი

40 წლის წინად, პეტერბურგში, მძიმე სენისაგან გარდაიცვალა 24 წლის ყმაწვილი კაცი ნიკოლოზ დობროლიუბოვი.



ბერტელო თავის ლაბორატორიაში.

ეს იყო შესანიშნავი მწერალი, შემქმნელი მთელის ეპოქისა რუსულს ლიტერატურაში და აღმზრდელი რამდენისამე თაობისა. არა თუ რუსულს ლიტერატურაში, უფრო განვითარებულ ევროპიელთა ლიტერატურაშიაც ძნელად მოიძებნება მაგალითი, რომ ასეთს ახალგაზდა მწერალს მოეპოვოს იმდენი გავლენა, რამდენიც დობროლიუბოვმა მოიპოვა, ისეთი ნაყოფიერი და დიდ მნიშვნელოვანი შრომა გაეწიოს მხოლოდ სამის წლის განმავლობაში, რამდენიც დობროლიუბოვმა გასწია!

სულ 20 წლისა იყო დობროლიუბოვი, როდესაც ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგა და მაშინვე ახალი გზა გაიკვლია: მან უკუაგდო ესტეტიურ კრიტიკის პრინციპები, რომელნიც დაამკვიდრა რუსულს ლიტერატურაში რუსეთის უუნიჭიერესმა კრიტიკოსმა ბელინსკიმ, და შექმნა პუბლიცისტურ კრიტიკა. თავის კრიტიკულ ნაწარმოებში დობროლიუბოვი ეხებოდა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა მხარეებს და ევროპიულის მოწინავე საზოგადოების იდეებს ავრცელებდა.

მაშინ რუსეთის ცხოვრებას გაცხოველება დაეტყო. ყირიმის ომის დასრულების შემდეგ ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ რუსეთს მრავალ მხრივი რეფორმები სჭირია. ბატონ-ყმობის დამხობა პირველ და უსაჭიროეს საქმედ გადიქცა. გაცხოველება დაეტყო ლიტერატურასაც. იქ გაიმართა ბრძოლა რეაქციის და პროგრესსის მიმდევართა შორის. დობროლიუბოვი სათავე





გამაჰმადინებული ქართველები სპარსეთში.—ლადო აღნიაშვილის კოლექციიდან.

ში მოექცა ხალხის დამცველ ჯგუფს და გასაკვირველის ენერგიით შეებრძოლა ძველ წყობილებას და ძველ თაობათ. ოთხ

წლის განმავლობაში მას არ დაუდვია ხელიდან კალამი და არ დაუტოვებია ერთი თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოვლენა, ერთი საყურადღებო ლიტერატურული ნაწარმოები, რომ არ შეხებოდა ან არ გაერჩია. მესამოცე წლები შესანიშნავია რუსეთის ცხოვრებაში; არც ერთხელ რუსეთის ცხოვრება და ლიტერატურა ისე არ გაცხოველებულა, არასოდეს მას ისეთი ძალა არ გამოუჩენიათ, როგორც ამ წლებში. ყოველისფერი ხელახლად იქმნა გადასინჯული და დაფასებული! ლიტერატურული პრინციპები, იურიდიულ-პოლიტიკური რწმენანი, საზოგადოებრივი იდეალები, სახელმწიფო საკითხები, ერთის სიტყვით, ცხოვრების ყველა მოვლენა—მხარეები შეირყა და შეიცვალა. ეს იყო განახლების ხანა არა მარტო სახელმწიფოსთვის, არამედ ლიტერატურისა, მეცნიერებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის. ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელებთა შორის პირველი ადგილი დობროლიუბოვს ეჭირა. მტკიცე დამცველი მე-40 წლების საუკეთესო იდეალებისა, ის შეიქმნა ამასთანავე მოციქულად ახალის მიმართულებისა — ძველის უარყოფის და მოქალაქობრივის განვითარებისა. დობროლიუბოვი მუშაობდა დაუსვენებლად პირადის ცხოვრებისა და მოთხოვნილებათა დავიწყებით. ამ გვარმა შრომამ და ძნელმა საოჯახო გარემოებებმა დასცეს იგი ფიზიკურად და შესანიშნავი მწერალი მოკვდა სრულიად ახალგაზდა, მოკვდა ისე, რომ არც ღირსებია მოსწრებოდა ზოგიერთ თავის იდეალების განხორციელებას; მაგალითად, დამხობა ბატონ-ყმობისა, რომელიც ამ დიდებულს ადამიანს სძულდა მთელის თავის მდიდარის არსებითა და გულით, მოხდა მისი სიკვდილის ერთის თვის შემდეგ... არ დასცალდა მას ენახა გამარჯვება ბევრის თავისის იდეებისა, მაგრამ, სამაგიეროდ, სიკვდილის შემდეგ მისმა იდეალურმა პიროვნებამ და თხზულებებმა საკვირველი გავლენა მოიპოვეს რუსეთის ახალგაზდობის რამდენსამე თაობაზე...

ვინ იცის, რამდენი ძალა და ენერგია, რამდენი ბრწყინვალე აზრი წაიღო საფლავში უდროოდ გარდაცვალებულმა დობროლიუბოვმა,—ამ საუკეთესო წარმომადგენელმა მესამოცე წლებისა, ამ ერთგულმა და ნამდვილმა დამცველმა რუსეთის ხალხისა და მის უფლება-ინტერესებისა!...

## ბერტელო

24 ნოემბერს საფრანგეთის რესპუბლიკამ შესანიშნავად იდღესასწაულა შესანიშნავ მეცნიერის მარსელენ ბერტელოს საპროფესორო და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლის იუპილეი. დღესასწაულს თავმჯდომარეობდა თვით საფრანგეთის პრეზიდენტი, აქვე იყვნენ მთავრობის ყველა წარმომადგენლები. რესპუბლიკამ იცის თავის შვილების დაფასება, ნამეტურ ისეთის ღირსეულის მოღვაწეებისა როგორიც ბერტელოა, გენიოსი ქიმიკოსი, შესანიშნავი ფილოსოფოსი და გულწრფელი, შეუსყიდველი დემოკრატი, რომლის მთელი სიცოცხლე განუწყვეტელი შრომა იყო ჭეშმარიტებისა და კაცობრიობისათვის. ორივეს წინაშე უდიდესი დამსახურება მიუძღვის სახელოვან ფრანგს. ბერტელომდე იცოდნენ მხოლოდ ანალიტიური ქიმია და ამ ქიმიის საგნად მიაჩნდათ მხოლოდ ანალიზი, რთულ ნივთიერების მის შემადგენელ მარტივ ნაწილებად დაყოფა-დანაწილება: მარტივ ნივთიერებათა შეერთება რთულ ორგანიულ სხეულად მხოლოდ ბუნებას შეუძლიანო, ამბობდნენ. ბერტე-



მეფისტოფელი. ქანდაკება ანტოკოლსკისა.

ლომ აღმოაჩინა ორგანიული სინტეზი და დაამტკიცა, რომ შესაძლებელია ქიმიურ და ფიზიკურ ძალთა ზედ-მოქმედებით რთულ ორგანიულ სხეულის შექმნა. ამით საუკუნოდ დამტკიცდა სრული უსაფუძვლობა იმ აზრისა, ვითომც არსებობდეს სიცოცხლის რაღაც განსაკუთრებული ძალა. ორგანიულ მეთოდის საშუალებით ბევრი რამ აღმოაჩინა გენიოსმა მეცნიერმა და ამ აღმოჩენამ საკვირველი ზედ-მოქმედება იქონია მრეწველობის ახალ დარგების შექმნაზე და განვითარებაზე.

საკვირველია ბერტელოს გონების ძალა და სივრცე: მიუხედავად იმისა, რომ ამ 50 წლის განმავლობაში მეცნიერება მეტად განვითარდა და აუარებელი ლიტერატურა არსებობს, იგი ყველაფერს თვალს ადევნებს, მან ყველაფერი იცის; ბერ-

ტელო ამ მხრივ ნამდვილი ფილოსოფოსი-ენციკლოპედისტია და ნამდვილი მემკვიდრე მეთვრამეტე საუკუნის შესანიშნავ ფილოსოფოსებისა: „თუ გინდათ, რომ წინ მიდიოდეთო, უთქვამს ბერტელოს, უნდა იცოდე, რა ხდება საზოგადო მეცნიერებაში... წინ-მსვლელობისათვის აუცილებელია საზოგადო დასკვნა—pour progresser, il faut généraliser.

ბერტელოს არ სწამს მეცნიერება მეცნიერებისათვის: გარდა ჭეშმარიტებისა, იგი უნდა ემსახურებოდეს კაცობრიობის კეთილდღეობასაც. „მეცნიერი, თუ კი იგი ღირსია ამ სახელისა, უთუოდ უნდა ემსახურებოდეს მთელის თავის ძალღონით ჩვენი დროის უდიდეს დანიშნულებას—ადამიანის ბედის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით იმ ადამიანის, რომელიც უბედურია და იტანჯება. მეცნიერი მუშაობს თავის კაბინეტში, ზის ლაბორატორიაში კოლბებთან და რეტორტებთან, მაგრამ მისი აზრი მიმართული უნდა იყოს იმ ადამიანის საჭიროებისაკენ, რომელიც მუშაობს ყანაში თუ ქარხნებში, მდინარეებზე, თუ ზღვებზე“.



სიბერის დროსა არ ვერგა
საპნის ბუშტებით თამაში.

ასეთი მეცნიერია თვით ბერტელო, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი დროს პოულობს სხვა მხრივაც ემსახუროს თავის სამშობლოს,—იღებს მონაწილეობას საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, განუშორებლივ თვალს ადევნებს ამ ცხოვრებას და საჭიროების დროს მზად არის პრაქტიკულ მოღვაწეობასაც მოჰკიდოს ხელი; ორჯელ მინისტრადაც იყო.

1870-ში, როცა საფრანგეთს ისეთი საშინელი უბედურება ეწვია, ბერტელო, როგორც ნამდვილი მამულიშვილი, მზად იყო მტლედ დადებოდა თავის სამშობლოს; როცა გერმანელებმა ალყა შემოარტყეს პარიზს, მეცნიერი ბერტელო თავს არ იზოგავდა, ოღონდ რამე სამსახური გაეწია საფრანგეთისათვის.

ბერტელო ეხლა სრული 74 წლისაა, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი გონებით და ფიზიკურად ისევ მხნე და საღია, ის ისევ დაუღალავად მუშაობს თავის ლაბორატორიაში თავისა და თავის ქვეყნის სასახელოდ და კაცობრიობის მძიმე ტვირთის შესამსუბუქებლად. ჩვენი დამატების სურათი წარმოადგენს ბერტელოს, პატარა ლაბორატორიაში (მედონშია), სადაც იგი იკვლევს ეხლა ელექტრონის ზედ გავლენას მცენარეზედ.



ბათუმის თვითმმართველობა



ყარსის რკინის გზით მოგზაურობა.

რედაქტორი
ალ. ჭყონია

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1 декабря 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.